პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERXOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

23 აგვისტო პარასკევი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან ● № 197 (16018)

ხუთწლედის გმირი

17 წელია გულმოდგინედ შრომობს თბილისის სახერხი ჩარხების ქარხანაში კომუნისტი ნოდარ არჩვაძე. იგი ითვლება მექანიკური საამქროს ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსალურ მეჩარხედ. მან ათვისა 6 სხვადასხვა სახის ჩარხი, ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. ნოდარი მაგალითს აძლევს შრომასა და ხაზოგადოებრივ საქმიანობაში.

იგი მექანიკური საამქროს პარტბიუროს მდივანი და ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატია. ამა წლის იანვარში ნ. არჩვაძემ შეასრულა ხუთწლედის პირადი გეგმა, თავის ანგარიშზე უკვე ჩაიწერა ბევრი ზეგეგმითი პროდუქცია. ს ურ ა თ ზე: ნ. არჩვაძე.

ხ. კილაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტი საბჭოში

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა, ამ ზაფხულს რომ გაიმართა, მისი პირველი სესიის მუშაობის შედეგებმა კვლავ დამაჯერებლად ცხადყო პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, სოციალისტური დემოკრატიის დიადი უპირატესობანი. ყველა საფეხურის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობამ ახალი მძლავრი ტემპითი მიიღო.

საბჭოების ძალა ის არის, რომ ისინი ახორციელებენ ლენინური პარტიის პოლიტიკას, რომელიც გამოხატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს. თვითეულ დეპუტატს შეგნებული აქვს, რომ სწორედ ამიტომ პირველ რიგში აძლევენ მათ მანდატს ამომრჩეველნი, ნდობას უწევენ. და იგი ცდილობს პირნათლად გაამართლოს მშრომელთა ამედები, შეასრულოს განაწესები.

ამ ბოლო წლებში, განსაკუთრებით ხკკპ XXIV ყრილობის შემდეგ, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა საბჭოების როლის ამაღლებისათვის. მიღებულია კანონები, რომლებმაც გაიფართოეს მათი უფლებები და მატერიალური შესაძლებლობანი. დეპუტატთა სტატუსის კანონმა არხებთან ერთად ხალხის რჩეულთა ავტორიტეტი. საერთო აღიარებით, საბჭოები უფრო აქტიურად მუშაობენ, მათი დეპუტატები იჩენენ მეტრნის მეტ მომთხოვნელობას, სახელმწიფოებრივად უდგებიან საქმეს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყურადღება ახლა მიპყრობილია ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალებათა შესრულებასა და საზოგადოებრივი საწარმოების ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით ამაღლებისაკენ. უმჯობესდება კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო საწარმოთა, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების და კულტურის, ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა მუშაობის ხელმძღვანელობაც.

საბჭოების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომუნისტი დეპუტატები, რომლებიც დეპუტატთა საერთო რიცხვის 44 პროცენტს შადგენენ. შრომაში, სამსახურებრივი მოვალეობებისა და დეპუტატის რწმუნებულებათა შესრულებაში მაგალითით, თავიანთი პრინციპულობით კომუნისტებს საბჭოების ცხოვრებაში შეაქვთ მაღალი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთება. მათი მეშვეობით პარტიული ორგანიზაციები მუდმივ ზემოქმედებას ახდენენ ხელისუფლების ორგანოების მუშაობაზე. ამ მიზნებს ემსახურებიან საბჭოების პარტიული ჯგუფები. რომელთა ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყონ პარტიის ყოველმხრივი გავლენა, მისი პოლიტიკის განხორციელება უპირველთა შორის, განამტკიცონ სახელმწიფო დისციპლინა, გააძლიერონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმება.

კარგი გამოცდილება ისეთმა ინიციატივამ ჯგუფებმა კურსკის ოლქის ბეჟერ ქალაქსა და რაიონში. კასტორნოეს რაიონულ საბჭოში, მაგალითად, ჯგუფი აერთიანებს 41 კომუნისტ დეპუტატს, მან მოაწყო მთელი რიგი სხდომები და სხვისების წინ განიხილა აქტუალური ხასიათისები, რომლებიც უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის დეპუტატთა პასუხისმგებლობის ამაღლებას და სხვ. შემუშავებულმა რეკომენდაციებმა ხელი შეუწყო ყველა დეპუტატის აქტივობის ზრდას. ინიციატივისანად მოქმედებენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის მთელი რიგი ოლქების, ალტაის მხარის, ქვეყნის ბევრი სხვა ქალაქისა და რაიონის ადგილობრივი საბჭოების პარტიული ჯგუფები.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები უფრო მკაცრად ადევნებენ თვალს დეპუტატის სტატუსის დაცვას, მეტად ზრუნავენ იმისათვის, რომ ისინი ენერგიულად მონაწილეობდნენ არა მარტო საბჭოების სესიების, არამედ მუდმივი კომისიების მუშაობაში, სადაც არჩეულია დაახლოებით 1.800 ათასი კაცი. ხალხის რჩეულნი სულ უფრო ფართოდ იყენებენ შეკითხვის უფლებას ალმასკომებისადმი, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი. რამდენადმე გაუმჯობესდა დეპუტატთა წერილებისა და პირადი მიმართვების განხილვის პრაქტიკა, მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება ფაქტები, როცა მათ კრიტიკულ შენიშვნებს, წინადადებებს, მიმართვებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. პარტიულმა კომიტეტებმა უნდა აამაღლონ მომთხოვნელობა ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც ხელს არ უწყობენ დეპუტატთა წარმატებულ მუშაობას, ისთან კი, ვინც აბრკოლებს დეპუტატთა მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას, — მკაცრად აგებინონ პასუხი.

ხაყურადღებოა ნოვოსიბირსკის ოლქის პარტიული ორგანოების გამოცდილება, რომლებიც ეხმარებიან ხალხის რჩეულთ, განსაკუთრებით ახალგაზდებს, უფრო სწრაფად დაეუფლონ ორგანიზაციურ ნჯეებს სხვადასხვა სკოლის, სემინარის, საქმიანი შეხვედრის ხაშუალებით. სწორად იქცევიან ის, სადაც რეგულარულად და ყოველმხრივ აცნობენ დეპუტატებს ადგილობრივი ცხოვრების შთავარ ხიახლეებს, სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებსა და ამოცანებს, საფუძვლიანად აცნობენ ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მიმდინარეობას ოლქში, ქალაქსა და რაიონში.

კომუნისტთა საქმიანობა საბჭოებში ყველაზე უფექტიანია, როცა მათ მხარს უჭერენ საწარმოებისა და დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს დეპუტატების კანდიდატებად დასახელეს ისინი. ინფორმაციებს პარტიულ კრებებზე დეპუტატთა რწმუნებულებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შესახებ წარმატებით ნერგავენ, მაგალითად, კრასნოიარსკის მხარეში. დაინტერესებული სკამასი, წარმატებების, ხარვეზებისა და შეცდომების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი, კარგი ინიციატივის კოლექტიური მხარდაჭერა — ყოველივე ეს მნიშვნელოვან კვალს ტოვებს.

სოციალისტური დემოკრატიის განვითარება გულისხმობს სახელმწიფო აპარატის მუდმივ სრულყოფას. კომუნისტებმა, საბჭოების პარტიულმა ჯგუფებმა განსაკუთრებით უნდა იზრუნონ, რათა ეფექტიანი კონტროლი დაამყარონ მართვის ყველა რგოლის, თვითეული თანამდებობის პირის საქმიანობისადმი, გამოიყენონ ანგარიშების მოსმენა სესიებზე, დეპუტატის შეკითხვები, სხვა საშუალებები და ფორმები. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკისრება საბჭოების ალმასრულებელი ორგანოების პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ უფლება კონტროლი გაუწიონ აპარატის მუშაობას პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის, საბჭოთა კანონების დაცვისათვის. ახლა შეიქმნა ყველაზე ხელშემწყობი პირობები, რათა საბჭოთა აპარატში მუშაობდნენ პოლიტიკურად მომწიფებული, კვალიფიციური კადრები, რომლებსაც ახასიათებთ ახლის გრძნობა. თავმდაბლობა და გულისხმიერება, შეგნებული აქვთ მაღალი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. ახეთი კადრების შერჩევა და აღზრდა მუდმივ, გულმოდგინე პარტიულ ყურადღებას მოითხოვს.

კომუნისტი საბჭოში... ხალხის მსახური, იგი სოციალისტური საბალხო ხელისუფლების ინსტიტუტების შემდგომი განვითარების, ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაციის გაღრმავების უშუალო და აქტიური მონაწილეა. და ხალი აფასებს მის ღირსებებს უწინარეს ყოვლისა იმით, თუ რამდენად სრულად ახმარს თავის ძალლონეს კომუნისტი დეპუტატი ხკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის, კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს.

PRAVDA 22 აგვისტოს მოწინავე

ეროვნული დღესასწაულის გამო

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა მმასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხ. ნიკოლაე ჩაუშესკუს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ამხ. მანია მენესკუს ეროვნული დღესასწაულის — ფაშისტური უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლების 30 წლისთავის გამო.

ფაშიზზე საბჭოთა კავშირის გადამწყვეტმა გამარჯვებებმა, საბჭოთა არმიის მიერ ფასი-კიშინიოვის ოპერაციის დროს გერმანელ ფაშისტთა ჯარების მძლავრი დამარცხების განადგურებამ, რამაც ანტიხესკუს რეჟიმს მოუსპო შეიარაღებული დასაყრდენი ქვეყანაში, ნათქვამია დეპეშაში, ხელშემწყობი პირობები შეუქმნეს 1944 წლის 23 აგვისტოს რუმინელი ხალხის წარმატებულ აჯანყებას. ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლებასთან ერთად გადაიშალა ახალი ფურცელი მის ისტორიაში — მშრომელებმა თავიანთი ხელში აიღეს ქვეყნის ბედ-იღბალი და რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიური ბრძოლა გაიჩაღეს განვითარების სოციალისტური გზისათვის.

რუმინეთში განვლილი სამი ათწლეულის ამბანძილზე განხორციელდა ძირფესვიანი რევოლუციური გარდაქმნები. წარსულში აგარარული ქვეყანა გადაიქცა განვითარებული მრეწველობისა და კოოპერირებული სოფლის მეურნეობის, თანამედროვე მეცნიერებისა და კულტურის მქონე სოციალისტურ სახელმწიფოდ. მოძმე ქვეყნების ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით შექმნეს რა სოციალიზმის საფუძვლები, რუმინეთის მუშათა კლასი, გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია ახორციელებენ რუმინეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობის მიერ დასახული განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების პროგრამას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ადამიანები, ხაზგასმულია დეპეშაში, დიდად აფასებენ რუმინელ მშრომელთა სოციალისტურ მიღწევებს, ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების მეგობრულ ურთიერთობას. მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქმნადობისა და განვითარების ისტორიული გამოცდილება უეცილობლად ადასტურებს, რომ წარმატებითი წინსვლა სოციალიზმის გზით, ხალხთა ძირეული ეროვნული მისწრაფებებისა და ინტერესების განხორციელება, მათ მიერ სოციალურ-ეკონომიური და კულტურული პროგრესის მაღალი საფეხურების მიღწევა თვითეული ქვეყნის კონკრეტულ პირობებში სოციალიზმის საერთო კანონზომიერებათა შემოქმედებითი გამოყენების, მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე მომქმე პარტიებისა და ქვეყნების ერთიანი მოქმედებისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის შედეგია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებას გამოხატავენ ჩვენს პარტიებს, ქვეყნებსა და ხალხებს შორის ყოველმხრივი მეგობრული ურთიერთობის განვითარების, ხახს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შესაბამისად, განამტკიცებენ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის თანამშრომლობის, როგორც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, ისე ორმხრივი საფუძველზე. გაფაფართოვებენ ორივე ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის საერთაშორისო ასპარეზზე. საბჭოთა ხალხისა და რუმინელი ხალხის, სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთიანობის, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ მოძმე რუმინელ ხალხს უსურვა დიდი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაში, ხალხთა მშვიდობისა და უმშროებისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

გადაეცათ პირველი შრომითი დიდების ორდენი

21 აგვისტო ღირსშესანიშნავი დღეა მოსკოვის ვლადიმერ ილიასძის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივის ცხოვრებაში. ამ საწარმოს ასობით მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი, მოსამსახურე სადიდოების შესვენების დროს შეიკრიბა მექანიკურ საამქროში. საამქროში ზეიმზე, რომელიც მიეძღვნა ამ საამქროს ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის ჩვენებისათვის ორდენების გადაცემას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ შეკრებილთა ტაშის გრიალში ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა ვ. მ. ოვჩინნიკოვს, შრომის წმიდა დროშის ორდენი — ამწყობ ზეინკალს ნ. ა. დუბკოვს.

შემდეგ შრომითი დიდების მე-3 ხარისხის ორდენები გადაეცათ №1 ამწყობ ზეინკალს მ. ი. კისინს, №2 ამწყობ ზეინკალს ვ. ი. პოლიაკოვსა და № 3 ამწყობ ზეინკალს ვ. ა. სოშნიკოვს.

დაჯილდოებულთ და მათი სახით მოსკოვის ვლადიმერ ილიასძის ქარხნის კოლექტივს გულთბილად მიულოცა მ. პ. გიორგაძემ. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალენჯიხელებმა პიროგა გაანაღდეს

ვალდებულების გადამეტებით იქნება 2.000 ტონა ჩაის ფოთოლი

სოციალისტური შეჯიბრების ფარგოდ გაშლის შედეგად წალენჯიხის რაიონის მეჩაიეებმა ვადაზე დიდი ხნით ადრე — 22 აგვისტოსათვის შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. მოიკრიფა და ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 18.676 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 18.650 ტონისა. ეს შარშან ამავე პერიოდში მოკრეფილს 3.571 ტონით აღემატება.

მოკრეფილი ნედლეულის 67 პროცენტი პირველი ხარისხისაა, შარშან კი 60 პროცენტს შეადგენდა. შესრულებულია მანქანებით ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა. 3.470 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 3.472 ტონა. ვალდებულების შესრულებაში თავი ისახელეს წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ, ჯვარის, ჩქვალერის, ლარამეფალინის, ფახულანის მახარაძის სახელობის, ზაალეჯიხის პირველი მაისის სახელობის, მიქავას სახელობის, მუყავას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ჩაის კრეფის სეზონის დამთავრებამდე რაიონის მეჩაიეები კიდევ მოკრეფენ 2.000 ტონა ჩაის ფოთოლს, აქედან 1.500 ტონა პირველი ხარისხისა იქნება.

მთავარია ხარისხი!

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის შესყიდვის წლიური გეგმა-ვალდებულების შესრულება 1974 წლის 19 აგვისტოსათვის

(ყველა კატეგორიის მეურნეობაში; ტონობით)

	გეგმა-ვალდებულება	შესყიდულია	%	1 ხარისხად შესყიდულია
აფხაზეთის ასსრ	57060	50182	68	
სოხუმის	529	508	68	
გალინდოს	1710	1650	71	
გალის	30182	26158	64	
გუდაუთის	4400	3584	76	
ოჩამჩირის	20239	18232	67	
აჭარის ასსრ	44000	40798	73	
ხელვაჩაურის	13200	12185	72	
ქობულეთის	30150	27988	73	
ქედის	650	625	72	
მახარაძის	51910	46051	71	
ზუგდიდის	37600	34919	66	
წალენჯიხის	18650	18090	67	
ბაღდათის	13850	13096	67	
ლანჩხუთის	13610	12773	68	
ჩხოროწყუს	12100	12124	71	
ჩიხორა-ულის	8170	7856	69	
წყალტუბოს	7060	6596	73	
ცხაკაიის	7000	6520	71	
წულუკიძის	5800	5573	65	
ტყიბულის სა-ქალაქო საბჭო	5800	5627	68	
ხობის	5440	5058	69	
სამტრედიის	1760	1567	69	
აბაშის	520	545	54	
თერჯოლის	730	696	68	
ჭიათურის სა-ქალაქო საბჭო	520	587	75	
ვანის	360	354	68	
ზესტაფონის	—	23	78	
ს ი ნ ლ	292000	269035	69	

292.000 ტონა ჩაისათვის!

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ბუქარესტში

ბუქარესტი, 21 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით.

ბუქარესტი, 22 აგვისტო (საკდესი). 21 აგვისტოს ბუქარესტში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა.ნ. კოსიგინი შეხვედრა რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ნ. ჩაუშესკუს.

ამხ. ა. ნ. კოსიგინმა ამხ. ნ. ჩაუშესკუს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით გადასცა მეგობრული მოგზაურობა ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 30 წლისთავთან დაკავშირებით, აგრეთვე დიდი წარმატებანი უსურვა რუმინელ ხალხს ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

ამხ. ნ. ჩაუშესკუმ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს შეუთვალა მეგობრული სალამი და აგრეთვე საბჭოთა ხალხს უსურვა შემდგომი დიდი გამოჯანმრთელება კომუნიზმის მშენებლობაში.

გაცვლილ იქნა ინფორმაციებმა რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მიმდინარეობისა და წარმატებების შესახებ.

გამოითქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის მეგობრული თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე, ორივე ქვეყნის ხალხთა და სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

საუბარი მიმდინარეობდა მეგობრულ, ამხანაგურ ატმოსფეროში.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაცია თბილისში

22 აგვისტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციასთან შეხვედრა.

ვიეტნამელ ამხანაგებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის კომუნისტთა, მშრომელთა სახელით გულთბილად მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. ნ. ჩუბრკინი.

საუბრის დროს დელეგაციის წევრებს გააცნეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

დელეგაციის მეთაურმა ნი კუიმ აღნიშნა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები დიდად აფასებენ საბჭოთა ადამიანების მიღწევებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამმართველ ორგანოებსა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებში ეროვნული კადრების ინტენსიური ზრდა, ეროვნული ენების, ეროვნული კულტურის, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფერწერის, ეროვნული ლიტერატურის, ეროვნული ხელოვნების ინტენსიური ზრდა, ეროვნული ინტელიგენციის ინტენსიური ზრდა — ეს ყველაფერი ადასტურებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკის ეფექტიანობას, ეროვნული ურთიერთობების ლენინური ნორმების ეფექტიანობას.

ეროვნული ურთიერთობების ლენინური ნორმების ეფექტიანობა ადასტურებს,

განახლების, წინსვლის ათწლეულები



რუმინეთის ისტორიაში 1944 წლის 23 აგვისტო ნიშნავდა არა მარტო ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებას, ორმაგ გზის არჩევისაც, ახალი საზოგადოებრივი წყობის დამკვიდრებას, რის შედეგადაც რუმინელი ხალხი თავისი ბედის ბატონ-პატრონი გახდა.

ეროვნული პატრიოტული ძალების ფართო მოქმედების ინიციატორი იყო მუშათა კლასი მისი რევოლუციური ავანგარდის — რუმინეთის კომუნისტური პარტიის მეთაურობით. შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ, უწინარეს ყოვლისა სახელოვანი საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებმა, რომელმაც ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო ფაშიზმის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში, ხელსაყრელი პირობები შექმნა იმისთვის, რომ ჩვენს პარტიის ხელმძღვანელობა და განხორციელებინა ეროვნული ანტიფაშისტური და ანტიიმპერიალისტური აჯანყება. მან დაიბრუნა სამხეთრო-ფაშისტური დიქტატურა, იხსნა რუმინეთი ჰიტლერული კოალიციისაგან და შექმნა ქვეყნის შეიარაღებული ძალები განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

1944 წლის აგვისტოს ისტორიულ დღეებს რომ ვიგონებთ, თვალს ვავლებთ იმ გარდაქმნებს, რომლებიც მოხდა გასულ სამ ათწლეულში რუმინეთის ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში.

რაი არის დამახასიათებელი ეს შედარებით მცირე ისტორიული პერიოდი?

ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნიდან რუმინეთი გადაიქცა სოციალისტურ სახელმწიფოდ დინამიკურად განვითარებადი მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით, რომელიც ახლა სრული მოდერნიზაციის პროცესშია. სამი ათწლეულის მანძილზე სამრეწველო წარმოება 30-ჯერ გაიზარდა. თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ბაზაზე შექმნილია მრეწველობის ახალი დარგები: ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმია, ელექტროტექნიკა, ელექტრონიკა და სხვ. სამრეწველო წარმოების საშუალო ზრდამ 1948-1973 წლებში 14,5 პროცენტი შეადგინა.

თვალსაჩინო წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობაში, რომელიც რეორგანიზებულია ახალ, სოციალისტურ საფუძველზე. ახლა მას ემსახურება ძლავრი სამანქანო პარკი: 115 ათასი ტრაქტორი (ომამდელ რუმინეთში იყო მხოლოდ 4 ათასი), 44 ათასი კომბაინი, 50 ათასი სათესი და სხვა მანქანები, აგრეთვე მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. მოწესრიგებ ტექნიკასა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევათა გამოყენებით რუმინელმა მეჰექნელ-მთესველებმა რუმინეთის ისტორიაში ჯერ არნახულ შედეგებს მიაღწიეს. მიმდინარე წელს, მაგალითად, დაგვიძილია 18 მილიონი ტონა მარცვლეულის მიღება.

რუმინეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარებისათვის დამახასიათებელია ეროვნული შემოსავლის, როგორც მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების მატერიალური ბაზის, თანმიმდევრული ზრდა. მარშან ეროვნული შემოსავალი 12-ჯერ აღემატებოდა 1947 წლის დონეს. უკანასკნელ 25 წელიწადში მოსახლეობის რეალური შემოსავალი გაიზარდა 5-ჯერ. სახალხო ხელისუფლების პირობებში ქალაქებსა და სოფლებში სახელმწიფოს სახსრებით და მშრომელთა პირადი დანაზოგის ხარჯზე აშენდა თითქმის 4 მილიონი ბინა. მათში ახალმოსახლეობა იზეიმა 12 მილიონმა კაცმა — რუმინეთის იმლანდელი მოსახლეობის ნახევარზე მეტმა.

სოციალისტური საზოგადოების მატერიალური ბაზის შექმნასა და გაფართოებასთან ერთად წარმატებით ხორციელდებოდა კულტურული მშენებლობაც. ამ დარგში მოპოვებული წარმატებები რუმინეთს სიშალებას აძლევს მომავალი სისწრაფით წლიდან გადავიდეს საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლებაზე. სამედიცინო მომსახურება სახელმწიფოში უფასოა.

ქვეყნის შემდგომში განვითარების ინტერესები მოითხოვენ ახალ ფონისძიებებს მატერიალური წარმოების და სულიერი ცხოვრების ყველა დარგში. ამ ღონისძიებებმა უნდა შეაჩქაროონ განსხვავება, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს რუმინეთსა და მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის. ამ განვითარების მიმართულება და მისი პროპორციები განსაზღვრულია ახალ ხუთწლიან გეგმაში (1976-1980 წწ.), რომელიც 1990 წლისათვის გათვალისწინებულ ეკონომიურ პროგნოზებთან ერთად მიღებული იქნება რუმინეთის კომპარტიის IX ყრილობაზე, რომელიც 25 ნოემბერს გაიხსნება.

გათვალისწინებულია, რომ სახოგადოებრივი პროდუქტი მიმდინარე ათწლეულის მეორე ნახევარში ყოველწლიურად საშუალოდ გაიზრდება 9 პროცენტით, ხოლო ეროვნული შემოსავალი 10 პროცენტით. ამის საფუძველზე გაგრძელდება ინდუსტრიალიზაცია, განვითარდება სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, განათლება, კულტურა, უზრუნველსყოფილ-ია ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერული საფუძვლები.

მშრომელთა რეალური შემოსავალი ყოველწლიურად გაიზრდება საშუალოდ 5,4 პროცენტით, ხოლო ხელფასი — 5,2 პროცენტით. ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად გათვალისწინებულია აშენდეს 815 ათასი ბინა.

ზრუნავს რა საწარმოო ძალების განვითარებისათვის, ეკონომიკის პროგრესისა და ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი პარტია შეუხელებელ ყურადღებას უთმობს აგრეთვე ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას. საზოგადოების თვითეული წევრის სოციალისტური შეგნებულობის საერთო დონის ამაღლებას. ამ თვალსაზრისით პარტიის იდეოლოგიური პროგრამა ითვალისწინებს სოციალისტურ აღზრდას, როგორც ფართო და კომპლექსური საქმიანობას, რომელიც გულისხმობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, იმ პოლიტიკის ღრმად ათვისებას, რომელსაც რუმინეთის კომუნისტური პარტია ახორციელებს.

საერთაშორისო ურთიერთობაში რუმინეთი მხარს უჭერს მშვიდობის პოლიტიკას და ინტერნაციონალურ თანამშრომლობას, დაძაბულობის შენყვლების კურსის განუხრელად გატარებას. ეგი მხარს უჭერს ხალხთა უფლებას იცხოვრონ თავისუფლად და დამოუკიდებლად, მათი მისწრაფებებისა და სურვილის მიხედვით.

რუმინეთი თავის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდებს მეგობრობის, ურთიერთკავშირის და თანამშრომლობის განმტკიცებას ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან, რომელთანაც მას აერთიანებს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, საერთო მიზნები და მისწრაფებები — სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა. ამ მხრივ თანამშრომლობა რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ფართოვდება და განუწყვეტლივ მდიდრდება ურთიერთსასარგებლო პირობებში ცხოვრების სხვადასხვა დარგში. რუმინეთის კომუნისტური პარტია თავისი ტრადიციული პოლიტიკის შესაბამისად მუდამ ისწრაფვის განვითაროს მეგობრობა, ინტერნაციონალური სოლიდარობა და მრავალმხრივი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და საბჭოთა კავშირთან.

ფაშისტური უღლისაგან თავისი განთავისუფლების 30-ე წლისთავს რუმინელი ხალხი დიდი წარმატებებით ეგებება, რომლებიც მას საფუძველს აძლევს ქმაყოფილებით აღნიშნოს განვლილი გზა და იმედიანად შეხედოს მომავალს, მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგიით ჩაებას ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის, რუმინეთის პროგრესისა და ეროვნული აყვავების საქმეში.

იულიუ ფეიესი,
რუმინელი პუბლიცისტი.

აუდარესტი დღეს

სურათზე: *რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი ბუქარესტი. რესპუბლიკის მოედანი.*

სპეციალური ფოტო.

თეთრი სახლის საზრუნავი

პარასკევს პრეზიდენტის პოსტზე ჯ. ფორდის ყოფნის მეორე კვირა გადის. როგორც აქაური მეთვალყურენი აღნიშნავენ, თეთრი სახლის ახალი ბატონ-პატრონის მთავარი საზრუნავი საშინაო პოლიტიკის დარგში ის არის, რომ რაიმე დაბრკოლებანი მაინც შეუქმნას ინფლაციას, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ კენედის ადმინისტრაციის დროს, გაძლიერდა ჯონსონის მმართველობის წლებში და კატასტროფულ ზომას მიაღწია ნიქსონის დროს. ამიტომ შემთხვევითი როდი, რომ ყოველდღე თავისი სამუშაო დროს ოთხქმის ნახევარს ახალი პრეზიდენტი ატარებს თათბირებში ეკონომიურ მრჩეველებთან და კონსულტანტებთან. ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის შემაშფოთებელი თემა ყოველთვის იჩენდა თავს ფორდის საუბრებში კონგრესის მრავალ წარმომადგენელთან, გუბერნატორებთან, ქალაქის მერებთან, პროფკავშირთა ლიდერებთან.

ჯ. ფორდი ბევრ დროს უთმობს საერთაშორისო საქმეებს. მოგეხსოვრებენ, რომ პირველი, რომელსაც იგი თავის კაბინეტში დილით ხედავს, სახელმწიფო მდივანია. „ყისინჯერი ნიადაგ პრეზიდენტის კაბინეტშია — აღნიშნავს ჟურნალი „ნიუსუიკი", — მაშინ როცა, მაგალითად, თავდაცვის მინისტრი შლესინჯერი ან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი კოლი მოკრძალებით ელიან გამოძახებას".

გაიმართა ჯ. ფორდის შეხვედრები ბევრი უცხო სახელმწიფოს ელჩებთან. აქაური პრესა, რადიო და ტელევიზია განსაკუთრებით აღნიშნავენ საუბარს თეთრ სახლში აშშ-ის პრეზიდენტსა და საბჭოთა კავშირის ელჩს ა. თ. დობრინინს შორის. კომენტარს უკეთებენ რა ამ შეხვედრას, პოლიტიკური მიმომხილველნი გაკვეთქვამენ რწმენას, რომ ახალ პრეზიდენტს განზრახული აქვს განაგრძოს თავისი წინამორბედის კურსი, რომელიც მიმართულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ. აგრეთვე აღნიშნავენ, რომ კონგრესის წრეებშიც ისახება გარღვევა სსრ კავშირთან ეკონომიური თანამშრომლობისა და ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის განვითარების სასარგებლოდ.

კონსტიტუციაში ოცდამეხუთე შესწორება პრეზიდენტ ჯ. ფორდს ვალდებულს ხდიდა დისახელებინა კანდიდატი ქვეყანაში მნიშვნელობის მხრივ მეორე სახელმწიფო პოსტზე — აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე. ეს პოსტი ვაკანტური იყო მიმდინარე წლის 9 აგვისტოდან, როცა ვიცე-პრეზიდენტი ფორდი პრეზიდენტი გახდა აშშ-ის 38-ე პრეზიდენტად, რომელმაც კარგად იცის თავის ქვეყანაში პოლიტიკური თამაშის წესები, რესპუბლიკური პარტიის ლიდერებს, კონგრესის წევრებს, გუბერნატორებს და ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეს მიმართა თხოვნით წარედგინათ მისთვის მოსაზრებანი კანდიდატურათა შესახებ. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ვიცე-პრეზიდენტის დანიშვნა მეორე მოსაზრებაა, ამ ადგილზე თანამდებობის გარშემო გაჩაღდებოდა აულისებსმიერმა ბრძოლა სხვადასხვა გავლენიანი ჯგუფებისა, რომლებსაც სურთ ამ ადგილზე თანამდებობა კაცი იხილონ.

სწორედ ასეც მოხდა. პირველ დღეებშივე დასახელებულ იქნა სულ ცოტა ათი კაცი. მაგრამ ყველა სხვაზე უფრო ხშირად იხსენებოდა ნელსონ როკფელერისა და ჯორჯ ბუშის სახელები. ამასთან ნ. როკფელერის სასარგებლოდ გამოდიოდნენ ქვეყნის აღმოსავლეთი შტატების წარმომადგენლები, ხოლო ჯ. ბუშის სასარგებლოდ — სამხრეთ-დასავლეთი შტატებისა. როკფელერის კანდიდატურას მხარს უჭერდა სენატში რესპუბლიკელთა ლიდერი ჰ. სკოტი აღმოსავლეთის შტატ პენსილვანიიდან. ჯ. ბუშის კანდიდატურას დაჟინებით მოითხოვდა გავლენიანი სენატორი ბ. გოლდუოტერი დასავლეთის შტატ არიზონიდან. აქ არავის არ ეშინოდა ეკვი, რომ როკფელერი უნდოდათ ვიცე-პრეზიდენტად ეგიოლათ ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების სამრეწველო და საფინანსო წრეებს. სამხრეთ-დასავლეთის მრეწველები და ფინანსისტები ეარაულნ ამყარებდნენ ტეხასელ მენავთობე-მილიონერ ჯ. ბუშზე.

თავდაპირველად ისე ჩანდა, რომ ბუშის მომხრე წრეებს შეეძლოთ გამარჯვებისათვის მიეღწიათ. ვაშინგტონის ოტელ „სტატლერ-ჰილტონში" მოთავსდა „ოპერატიული პუნქტი", რომელიც ხელმძღვანელობდა ტეხასელის წამოწევას ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე. ამავე დროს ამერიკული პრესის ზოგიერთ ორგანოებში გამოქვეყნდა ცნობები, რომლებიც მიმართული იყო როკფელერის დისკრედიტაციისაკენ. წერდნენ, რომ ნიუ-იორკელი მულტიმილიონერის ფული თითქოს გამოყენებული იყო არეულობის მოსაწყობად დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო ყრილობაზე. მაგრამ დაუყოვნებლივ მოწყობილმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ეს ბრალდებები, რომლებიც მომდინარეობს ულტრა-მემარჯვენე ორგანიზაციებისაგან, მოკლებულია საფუძველს.

ორშაბათს ცნობილი გახდა, რომ შორე დღეს ფორდს განზრახული ჰქონდა გამოეცხადებინა სარეზერვო კანდიდატურა. ექიმებმა ყველა ღონე იხმარეს მის გადასარჩენად. ახლა მარიო რიგალის ჯანმრთელობა უმჯობესდება. მას ნახულობენ მეგობრები — ჩილელი ხიზნები, რომლებიც ამჟამად პერუში ცხოვრობენ. საავადმყოფოში იგი ინახულეს ლიმაში აკრედიტებულმა ჩილეს ხუნტის წარმომადგენლებმა, რომლებმაც პირწმინული დიდსულოვნებით და გულისტკივილით მარიოს ჩილეში, სამშობლოს მიცვლა აღუთქვეს. მაგრამ მან გადაპარით უარი უთხრა სამშობლოში დაბრუნებაზე.

ახალი ამბების საგენტოს მასალებიდან.

„ჯრავდის" კორესპონდენტი ვაშინგტონიდან გადმოგვცემს

„ეროვნული ფენომენი"

ეროვნული დღეს

ამბები. ეროვნული ფენომენი

საკვლევი და უცხოეთის პრესის საინფორმაციო იტყობინებიან

მდგომარეობა ნიქოზიაში

ნიქოზია, 22 აგვისტო. (საკადესი). *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების წარმომადგენლის განცხადების თანახმად, მთლიანად კვიპროსში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაცულია. წარმომადგენელმა განაცხადა მხოლოდ, რომ მთელი რიგი „უმნიშვნელო ინციდენტები" მოხდა დამის განმავლობაში.*

ერთ-ერთ პუნქტში აგრეთ წოდებული „მწვანე ხაზის" გაყოლებით, რომელიც ნიქოზიის თურქეთისა და საბერძნეთის ნაწილებს ჰყოფს, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მეთვალყურეობით მოხდა ამასწინანდელი საომარი მოქმედების დროს ორივე მხარის მიერ დატყვევებულ პირთა გაცვლა.

კუნძულზე ეკონომიური სიტუაცია ისევ ძძიმეა. მთავრობის ეკონომიური ბიულეტენი იუწყება, რომ წარმოების სრული გაჩერების გამო ქვეყანა ყოველ დღე კარგავს 5 მილიონ დოლარს. დაზარალდა 150 ათასი მეურნეობა, ცეცხლის დაშენისა და დაბომბვის შედეგად დიდი ზიანი მოუვიდა ქარხნებს, ფაბრიკებს, საწყობებს, სასტუმროებსა და მაღაზიებს.

კვიპროსის მთავრობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვიპროსის ტერიტორიაზე, რომელსაც თურქეთის არმია უწევს ოკუპირორს, თავმოყრილია პრაქტიკულად მარცვლეულისა და ბეთის ხილის მთელი წარმოება, იქვეა ქვის სამტეხლოები და კარიერები, სამრეწველო საწარმოთა ნახევარი, ამ ტერიტორიაზე მოდის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ამ ტიპის ფაქტი — ქვეყნის სატყეო მეურნეობის მეოთხედი. დაოუპვის საფრთხე ელის ციტრუსოვანთა ნარგავებს.

კ. ვალდჰაიმის გაანცხადება

ტუნისი, 22 აგვისტო. (საკადესი). *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კურტ ვალდჰაიმი გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე ტუნისში და განაცხადა, რომ ითხოვა ხანგრძლივად გაზარდონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალები კვიპროსზე, რომლებშიც ამჟამად 4.800 სამხედრო მოსამსახურეა, იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ წარმატებით აღკვეთონ კუნძულზე ცეცხლის შეწყვეტის პირობების დარღვევები.*

ემზადებიან აგრესიისათვის

დამასკო, 21 აგვისტო. (საკადესი). *თავისი მოქმედებით ისრაელი, როგორც ეს წინათაც ყოფილა, ყოველგვარი საბაბით ცდილობს გაალაშქროს ახლო აღმოსავლეთის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, განაცხადა სირიის პრემიერ-მინისტრმა მაჰმუდ ალ-აიუბმ.* იგი გამოვიდა პალესტინის მუშათა საყოველთაო კავშირის კონფერენციაზე. „ჩვენთვის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსათვის, გოლანის მაღლობებზე ჯარების დაშორირაშორების შეთანხმება მხოლოდ პირველი ნაბიჯი ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიებიდან ისრაელის სრული ევაკუაციის გზაზე", — აღნიშნა მან.

სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა თქვა, რომ ისრაელის ლიდერების უკასასკნელი განცხადებანი და ისრაელში გაჩაღებული მილიტარისტული ფეიერვერკი მოწმობენ ტელ-ავივის აგრესიულ ზრახვებს, მის გაფფორებულ ცდას შეცვალოს ვითარება ახლო აღმოსავლეთის რაიონში ისეთნაირად, რომ იგი შეესაბამებოდეს „ზომხდარი ფაქტის" პოლიტიკას და მის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს.

მ. ალ-აიუბმ ისრაელის მხედრობს ბრალად დასდო აგრესიის მომზადება სირიის წინააღმდეგ. **რაგორც მან თქვა, ტელ-ავივმა დაიწყო ჯარების თავმოყრა, პროვოკაციების მოწყობა და სიტყვიერი პრომაგანდა ახალი ომის გასაჩაღებლად ყოველგვარი საბაბის გამონახვისათვის.**

გმოგვენ ჩილეს ხუნტას

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. (საკადესი). *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიამ მოსთხოვა ჩილეს ხუნტას დაუყოვნებლივ აღადგინოს ქვეყანაში ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი და შეწყვიტოს რეპრესიები.* რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ჩილეში გრძელდება „წმენდა, ტანჯვა და არაადამიანური მოპყრობის სხვა ფორმები". დოკუმენტში, რომლის ერთ-ერთი თანაავტორი არის საბჭოთა კავშირი, ხაზგასმულია, რომ ადამიანის უფლებათა ნებელ უნდა იქნეს შესწავლილი, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღოს შესაბამისი ზომები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია პირველად გამოდის ჩილეში ფაშისტური რეჟიმის დანაშაულებათა წინააღმდეგ. რეჟიმისა, რომელიც ხელისუფლების ხელში ეროვნული ფენომენი ... ...

პარტიული კომიტეტების მუშაობის პრაქტიკიდან

1. ახალგაზრდა კომუნისტის დღე

ჭიათურის საქალაქო კომიტეტი უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა კომუნისტების ყოველდღიურ საქმიან კონტაქტებს, კონტროლს უწევს მათს მუშაობას და პრაქტიკულად ეხმარება.

ბოლო დროს დავაწესეთ „ახალგაზრდა კომუნისტის დღე", რომელიც ყოველი თვის პირველ სამშაბათს ეწყობა. შედეგნილი და დამტკიცებულია სამუშაო გეგმა, რომლითაც ახალგაზრდა კომუნისტებისათვის ბევრი საინტერესო საკითხია გათვალისწინებული.

ამ შეკრებაზე ვისაუბეთ ახალგაზრდა კომუნისტთა ინფორმაციებს მათ მიერ პარტიული დავალებებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შესახებ.

უკვე მოვისმინეთ საკმაო წევრობის კანდიდატების — „ჭიათურაზარტაშენის" სამმართველოს მეხტონის ა. ასანიძის, ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს ზეინალოს ბ. ფარჭოსაძის, კალინინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს კომკავშირულ-ახალგაზრდული ცვლის უფროსის ვ. ბურულის, ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოს მებოგის ა. ფხალაძის, ოჩოჩიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს ტრანსპორტის გამგის გ. კაპანაძის, პერეგვანის მაღაროთა სამმართველოს ცვლის უფროსის გ. ჭუმბურიძის, სოფელ დარკვეთის ოკეანოლოგიანი სკოლის პედაგოგის ნ. ჭელაძის, ჭიათურის სამკერვალო ფაბრიკის მუშის ნ. ამაშუკელისა და ჭიათურომშენის სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების ინჟინრის მ. კურტანიძის ინფორმაციები.

შეკრებებზე ეწყობა ლექციები როგორც ადგილობრივი, ისე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის" ლექტორთა ძალებით. ლექციების თემატიკა ისეა შედგენილი, რომ ახალგაზრდა კომუნისტები თანმიმდევრულად ეცნობიან ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას, ისმენენ ლექციებს სკკპ წესდებისა და პროგრამის, ავრეთვე თანამედროვეობის აქტიურ საკითხებზე.

ეფექტობთ, ესაც საინტერესო უნდა იყოს: თვითეული ახალგაზრდა კომუნისტი სკკპ წევრობის კანდიდატად მიღების შემდეგ ღებულებს სპეციალურად შეუმავებული ფორმის სტამბური წესით დამტკიცებულ „სკკპ წევრობის კანდიდატის სტატუს გაცლის აღრიცხვის ბარათს", რომელშიც პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი აკეთებს აღნიშვნებს ამ კანდიდატის მუდმივი და ერთდროული პარტიული დავალებების მიცემისა და შესრულების, მის მიერ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების, პარტიულ სწავლებაში მონაწილეობის შესახებ. ამავე წიგნაკში კეთდება აღნიშვნები საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორების მიერ მასი „ახალგაზრდა კომუნისტის ცხოვრების" დასწრების შესახებ. ამის შედეგად, საკანდიდატო სტაჟის გავლის შემდეგ, როცა კანდიდატს პარტიის წევრად მიღების საკითხი დგება, პარტიკომ ორგანიზაციას სამოალეგა ეძლევა სრულყოფილი წარმოდგენა იქონიოს საკანდიდატო სტაჟის პერიოდში მის მთელ საქმიანობაზე, ამავე დროს ზრდის თვით კანდიდატის პასუხისმგებლობას დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის.

ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის გაძლიერებამ, ახალი ფორმების დანერგვამ თავისი დადებითი შედეგები გამოიღო. ეს უკვე შესამჩნევი ხდება თვითეული ახალგაზრდა კომუნისტის ყოველდღიურ შრომითს საქმიანობაში, საზოგადოებრივ მუშაობაში.

ჯ. ფხალაძე,
საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი.

2. ლექტორის დღე

ჭიათურაში დაწესდა ლექტორის დღე — სოფლად შაბათი, ქალაქად — ოთხშაბათი. მშრომელთა წინაშე ლექციებით, მოხსენებებითა და საუბრებით გამოდიან ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის შემდეგ მუშაობა გააცხოველეს პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის" ლექტორებმა. ამ დღეებში 23 ლექტორი გავიდა ჭიათურის სოფლებში. მათ წაიკითხეს ლექციები სოფლის მოსახლეობისათვის.

ჭიათურის იდეოლოგიური დარგის მუშაკებმა განაცხადეს: ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ თვითეული მშრომელი აქტიურად დავრაზმოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

შ. კაპანაძე,
საზოგადოება „ცოდნის" ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი.

აქტივის დასახმარებლად

თერჯოლა. პარტიის თერჯოლის რაიკომში ჩატარდა ინფორმაციის დღე. ესწრებოდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, კომსომოლორგანოთა გამგეობისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პროპაგანდისტები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, ლექტორები, პოლიტინფორმატორები.

„პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიული ორგანიზაციების სისხლხორცეული საქმეა!" — ასეთი იყო საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის მეორე მდივნის ვ. ხუციძის მოხსენების თემა. კომეულორგანოებში და თერჯოლის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და და დამზადების გეგმა-ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე ილაპარაკა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მთავარმა აგრონომმა გ. მღინარაძეს.

ნ. ქოჩიაშვილი,
საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

ხილი—გემრიელი და უხვი

მეხილეობის ინტენსიფიკაცია, გადასაჭრელი პრობლემები

ჩვენს რესპუბლიკაში მეხილეობის განვითარების არსებული მდგომარეობა, სამწუხაროდ, ბევრად ჩამორჩება ხოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მოთხოვნათა დონეს. უფრო მეტიც. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ პოპულიაციური პროდუქტიულობის რეალიზების თვალსაზრისით ჩვენში ეს დარგი უკანასკნელ ადგილზეა, ეს მაშინ, როცა საქართველო თავისი ბუნებრივი პირობებით მეხილეობის კლასიკური ქვეყნების კატეგორიას განეკუთვნება.

შექმნილ ვითარებაში ცხოვრებისეულად აუცილებელი და მეტად დროული იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიმდინარე წლის ივნისში მეხილეობის ინტენსიფიკაციის თაობაზე მიღებული დადგენილება. როგორც ცნობილია, პერსპექტიული გეგმით ჩვენში ხილის წარმოება აყვანილ უნდა იქნას 600-650 ათას ტონამდე.

ამ მეტად დიდი ამოცანის გადაჭრა ხოხილის მეურნეობის მუშაკებისაგან ძალია მაქსიმალურ მობილიზებას, ყველა გამოუყენებელი რეზერვის ამოქმედებას და ამ დარგის მეცნიერულ საფუძველზე გაღიღოლას მოითხოვს. მეხილეობის დარგში კარდინალური ხასიათის გარდაქმნებს გარკვეული წლები ხჭირდება და ამდენად დროის ფაქტორი რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული. მით უმეტეს, რომ წინ არც თუ ისე ადვილად დასაძლევი პრობლემებია გადასაწყვეტი.

მეხილეობის ინტენსიფიკაციის საქმეში, ბიოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებულად პრობლემატურია მსხმოიარობაში ადგილშემსვლელი და რეგულარულად მოსავლიანი ნარგაობების შექმნა, რომლებიც ფართობის ერთეულიდან მაქსიმალურად მაღალხარისხოვან მოსავალს მოგვეცემენ. წამყვანი ხეხილოვანი კულტურები — ვაშლი და მსხალი ვგიან, 7-10 წლის ასაკიდან იძლევიან პირველ მოსავალს, რაც სამეურნეო-ეკონომიური თვალსაზრისით ერთობ უარყოფით თავისებურებას წარმოადგენს.

ამ ნაკლის დაძლევისათვის სადღეისოდ შემუშავებულია შემდეგი ძირითადი ფიტოტექნიკური ღონისძიებანი: სუსტად მოზარდი ხაძირეების-გამოყენება, ვარჯის პალმეტური წესით ფორმირება და ზრდის მარეგულირებელი ნივთიერებებით ხეხილის დამუშავება.

სუსტად მოზარდი ხაძირეებიდან ნაგალეტზე (პარადისი, ხომალდული) დამყნილი ვაშლის ხეები მე-2-3 წლიდან იწყებენ მსხმოიარობას, ხოლო ნახევრად ნაგალეტზე (დუსენი) 4-5 წლის ასაკიდან. აღნიშნული თავისებურების გამო თითქოსდა უპირატესობა ნაგალეტს უნდა მივანიჭოთ, მაგრამ ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ჰოლანდიელ მკვლევართა ცდის შედეგები, რომელთა განზოგადება საკმაოდ დასაშვებია ჩვენს პირობებში მათი მონაცემებით ნაგალეტ ნახევრად ნაგალეს ხაძირის მქონე ნარგაობანი სასაქონლო მსხმოიარობის დაწყებიდან მეორე, მესამე წლის მოსავლიანობით ერთმანეთს გაუთანაბრდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ნახევრად ნაგალეტი ფართობის ერთეულზე გაცილებით ნაკლები ირგვება. დუსენის ტიპის ხაძირეებს, ნაგალეტისაგან განსხვავებით, ღრმად განვითარებული ფესვთა სისტემა ახასიათებთ, ჭართლის პირობებში ნაკლებ რწყვას საჭიროებენ და ქარი ვერ წააქცევს.

ამდენად, ჩვენში უპირატესობა ნახევრად ნაგალეს ხაძირეებს უნდა მიეცეს. მაგრამ მდგომარეობას ართულებს დუსენის ტიპის სადედეების ნაკლებობა, რაც თავის მხრივ აბრკოლებს საჭირო რაოდენობით სარგავი მასალის აღზრდას. ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, ხოლო მისი მუშაკების მონდომებული და შემოქმედებითი საქმიანობა იმის იმედს გვინერგავს, რომ რესპუბლიკა უახლოეს წლებში უზრუნველყოფილი იქნება საჭირო რაოდენობის ნახევრად ნაგალა ხაძირის მქონე ნერგით.

მსხმოიარობის დაჩქარების ერთერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ხეხილის პალმეტური წესით ფორმირება. მას უპირატესობა უნდა მიეკუთვნოთ მუშა-ხელით უზრუნველყოფილ მეურნეობებში, რამდენადაც ფორმირების ეს წესი ზაფხულის პერიოდში შრომატევად ოპერაციებთან არის დაკავშირებული.

ხეხილის მსხმოიარობის დაჩქარების ღონისძიებათა განხორციელების ფონზე სწორად არ მიგვაჩნია ბაღების ერთწლიანი ნერგებით გაშენება და ამ სამუშაოს გაზაფხულზე ჩატარება. ერთწლიანი ნერგებით სანერგეებში დაორწლიანებას ხის ვარჯის ფორმირება უფრო კვალიფიციურად ხდება და, რაც მთავარია, ბაღის რიგთაშორისებში სხვადასხვა კულტურის წარმოებას დაკვმედიბარებული აგროტექნიკის გამო, მუდმივ ადგილზე დაორწლიანებული ხეხილი განვითარების სიძლიერით ბევრად ჩამორჩება სანერგეში დაორწლიანებულ ნერგებს.

გაზაფხულზე ბაღების გაშენების სამუშაო ხშირად ვეგეტაციის დაწყების პერიოდს ემთხვევა, რომლის დროსაც ნერგის ტოტების ზრდაში დაძვრამდე ფესვთა სისტემა ვერ ახერხებს აღდგენას და ამ წელს ხეხილი ზრდაში იჩაგრება. გვიან შემოდგომასა და ზამთრის პერიოდში დარგვის შემთხვევაში კი ახეთი რამ გამორიცხულია. მიზანშეწონილად მივაჩნია დაკანონდეს თესლოვანების ორწლიანი ნერგით გაშენება და ამ ღონისძიების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში განხორციელება.

მეხილეობის ინტენსიფიკაციის პირობებში მეტად რთულ პრობლემად უნდა მივიჩნიოთ ხეხილის კრეფის მექანიზაციის საკითხი. კალიფორნიაში გამართულ მბაღეობის კონგრესზე ერთმა ავტორიტეტულმა მეხილე ეკონომისტმა განაცხადა, რომ უახლოეს წლებში ან დადებითად უნდა გადაწყდეს ხილის კრეფის მექანიზაცია, ან საერთოდ უარი უნდა ვთქვათ ხეხილოვანთა კულტივირებაზეო. მართალია, ეს განეცხადება ერთთან კატეგორიულად დასმული ალტერნატივაა, მაგრამ თავისთავად იმაზე მიუთითებს რომ კრეფის მექანიზაციის გარეშე მომავალში ძალზე გაჭირდება მოსავლის აღება.

აღსანიშნავია, რომ განვითარებული მეხილეობის ქვეყნებში კარგახანია მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ხილის საკრეფი მანქანების კონსტრუირებაზე და ამ მხრივ გარკვეული წარმატებებიც აქვთ, ხოლო ჩვენში შესაბამისი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი დღემდე ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ჩვენი აზრით, საბოლოო-სამეურნეო მექანიზაციის საკვლევ-საძიებელ საკითხად ეს ერთ-ერთ ადგილზეა. ეს ამ ბოლო-ბოლოს ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთ ფორმად ითვალისწინებ

ფოტოაპარატით ჩვენს რესპუბლიკაში

თბილისური კერამიკა

თბილისის კერამიკული კომბინატი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. აქ კერამიკის ასამდე ნიმუშს ამზადებენ, სურათზე თქვენ ხედავთ კომბინატის მხატვარ-კერამიკოსს ლ. გარუჩავას, რომელიც ამზადებს ყავის ახალ სერვიზს.

ქუთაისური ბროლი

ცხრა ხახეობის ბროლის ნაწარმი გავზავნა წელს პლოვდივის საერთაშორისო გამოფენაზე ქუთაისის მინის ტარის ქარხანამ. სურათზე: ქუთაისის მინის ტარის ქარხნის საამქროს ბრიგადის ხელმძღვანელი შ. კინწურაშვილი და მოწინავე მეალმასე ზ. ლობჟანიძე ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მასპინძელია „წითელი მიხაკი“

კიევის პიონერთა ბაზაკ „წითელ მიხაკს“ ამას წინათ ეწვივნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი — იოსებ ნონიშვილი, მედეა ჩიბაია, ნუნუ გაბუნია, წანდრო მირიანაშვილი, ეთერ კაკულია, გელა ქოქიაშვილი.

მოეწყო პიონერული ხაზი. სტუმრებმა გულთბილი მისასალმებელი სიტყვები უთხრეს ნორჩ მასპინძლებს. შემდეგ კი პიონერებმა უჩვენეს თავიანთი ხელოვნება. კონცერტში მონაწილეობდნენ აგრეთვე მოსკოველი პიონერები, რომლებიც სტუმრად იმყოფებოდნენ ბახაკში.

ეს დღე დიდხანს დამახსოვრდებათ ბავშვებსაც და უფროსებსაც.

დ. კოპაეხიძე.

●

ქიდევ ერთი თარგმული...

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალი კინდღის ტერიტორიაზე მიწისქვეშა ბურღვის დროს ჭაბურღილიდან იფეთქა ცხელმა თერმულმა წყალმა, რომლის ტემპერატურა 104-106 გრადუსია, სოფელ ოხურის თერმული წყლების შემდეგ ეს მეორე თერმული ჭაბურღილია რაიონში.

ცხელმა წყალმა ამოხეთქა 3.580 მეტრი სიღრმიდან წამში 55 ლიტრისა და დღეღამეში 4.752 ლიტრის დებიტით.

თერმულ წყალს ფართო მოხმარება ექნება სოფლის მეურნეობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

მ. ბოგუა.

●

ლაშიჭალის სიკეთე

ცაგერი. (სპკ. კორ.). ლაშიჭალა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტი რაიონში. აქაური მინერალური წყალი კარგად მოქმედებს კუჭის წყლულოვან დაავადებაზე, ქრონიკულ გასტრიტზე და კოლიტზე, თირკმელის კენჭოვან დაავადებაზე. აბანბანები კუნთებს ისეთ მძიმე დაავადებებს, როგორიც არის რადიკულიტი, ისიაზი, ქრონიკული რევმატიზმი, ტრავმული დაზიანების ნარჩენი მოვლენები და ა. შ.

წელს ბევრი რამ გაკეთდა დამსვენებელთა მომსახურების გაუჯობესების მიზნით. დამონტაჟდა ექვსი ახალი აბაზანა, რემონტი გაუკეთდა ძირითად საცხოვრებელ კორპუსს, გაკეთდა ახალი წყალსატუმბი მოწყობილობა, გაიყვანეს სასმელი წყალი.



თბილისი. 26 ოქტომბრის პარკში.

ა. კაკაბაძის ფოტო.

თეატრალური ცხოვრება

სიხარულს მანიჭებს

საუბარი უნგრელ რეჟისორ გაბორ ბერენთან

□

ცნობილია, რომ რუსთაველ თეატრი უნგრეთში გასტროლებისათვის ემზადება. იგი უნგრელ მაყურებელს წარუდგენს სპექტაკლებს „კახაბერის ხმალს“ (ყაბაბაე), „ასი წლის შემდეგ“ (ყოროსტილევი) და „ბანკ ბანს“ (ვატონა).

ამ დღეებში თბილისში იყო უნგრელი რეჟისორი **გაბორ ბერენი.** მან რუსთაველ თეატრში აღადგინა მის მიერვე დადგმული სპექტაკლი „ბანკ ბანი“. პიესის ავტორია ცნობილი უნგრელი დრამატურგი იოეფ კატონა. ამ სპექტაკლმა 1971 წელს უნგრელი რეპერტუარის საკავშირო ფესტივალზე საუკეთესო შეფასება მიიღო. ამჟამად ამ სპექტაკლს იხილავს ბუდაპეშტის და დებრეცენის მაყურებელი. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თხოვნით მივმართეთ გაბორ ბერენს გამოეთქვა აზრი რუსთაველ თეატრის მომავალი გასტროლების შესახებ უნგრეთში.

—ეს გასტროლები,—თქვა გაბორ ბერენმა—დიდად შეუწყობს ხელ უნგრელი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობის განმტკიცებას. ამავე დროს ეს შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარებაც იქნება. საქართველოში ჩემი ამასწინანდელი ყოფნის დროს დავრწმუნდი, რომ რუსთაველ თეატრი უაღრესად ნიჭიერი კოლექტივია. მათთან მუშაობა ნამდვილ შემოქმედებითს სიხარულს მანიჭებს. ვფიქრობ უნგრელი მაყურებელი მოხიბლული დარჩება.

— რატომ შეაჩერეთ არჩევანი იოეფ კატონას პიესაზე „ბანკ ბანი“?

—ამ პიესაზე მუშაობა რუსთაველ თეატრმა შემომთავაზა. ჩემთვის გასაგები ამ არჩევანის მიზეზები. ეს ისტორიული დრამაა, სადაც თანამედროვე ხრიბით ასახულია უნგრელი ხალხის ბრძოლა წარსულში გერმანელთა უღლისაგან გასათავისუფლებლად. იოეფ კატონას მიერ დახატული გმირები მასშტაბით, ხასიათების სიმძაფრით, გრძნობათა ბუნებით შეეფერებიან რუსთაველ თეატრის მხატვრულ სპეციფიკას.

— ალბათ თქვენი ნაცნობობა ამ თეატრთან მხოლოდ აღნიშნული სპექტაკლით არ ამოწურება. რუსთაველ თეატრის რომელმა სპექტაკლმა დატოვა თქვენზე კარგი შთაბეჭდილება?

—ამ თეატრში ვნახე ოთხი სპექტაკლი—„სარანო დე ბერეტრაკი“, „მაესტრო“, „კომედიის ხელოვნება“, „ჩრდილი“. მთიბლული დავრჩი თეატრის რეჟისორული და სამეცადინო ლონით.

—თქვენი აზრით აქვთ თუ არა რაიმე საერთო უნგრულ და ქართულ თეატრს?

—აქვთ. ჩვენთან საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრები ხშირად აღნიშნავენ, რომ უნგრულ თეატრს ახასიათებს რომანტიზმი, ტემპერამენტი, ძალა, ფერადოვნება. ყველა ეს თვისება ქართულ თეატრსაც ახასიათებს. უნგრელ და ქართველ მაყურებელს აღელვებს ისეთი სპექტაკლები, სადაც ასახულია ბრძოლა გრძნობები, სადაც იტირებს ან იცინებს. მშვიდი ვახლდები უცხოა როგორც უნგრელი, ისე ქართული თეატრისათვის.

—რა განსხვავებაა ამ ორ თეატრულ კულტურას შორის?

—უნგრულ თეატრზე დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის თეატრმა. ეს გავლენა ამჟამადაც საკმაოდ შეიგრძნობა. ცხადია, ერთი მხრივ ეს ხელს უშლის ჩვენი ეროვნული ხელოვნების განვითარებას, მაგრამ მეორე მხრივ, რა თქმა უნდა ხელს უწყობს უნგრული თეატრის გლობალურ დონეზე ყოფნას. ბარდა ამისა ქართული თეატრი უფრო ახასაბლურია. ჩვენში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ანსამბლურობა მხატვრულ მთლიანობად იქცეს.

—იცნობს თუ არა უნგრელი მაყურებელი ქართულ ხელოვნებას?

—რამდენიმე წლის წინ რეზო ჩხეიძის ფილმმა „ჯარისკაცის მამამ“, სადაც მთავარ როლს შესანიშნავი მსახიობი სერგო ზაქარიაძე ასახიერებდა, საყოველთაო აღიარება მოიპოვა უნგრეთში. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენამ. უნგრეთში უკვე რამდენჯერმე გამოიცა შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“.

—უნგრეთის რომელ თეატრში მუშაობთ?

—ემუშაობ მთავარ რეჟისორად ატილა იოეფის სახელობის ბუდაპეშტის თეატრში. ეს თეატრი დაახლოებით ოცი წლის წინ დაარსდა. ამ თეატრში მოსვლამდე ვმუშაობდი დებრეცენის თეატრში მთავარ რეჟისორად.

—ქვენს თავს რომელ თეატრალურ სკოლას მიაკუთვნებთ?

—ემოღლესი თეატრალური განათლება ბუდაპეშტში მივიღე. ჩემი ხელმძღვანელი იყო ბრწყინვალე რეჟისორი ენდრე �ლერტი. სამწუხაროდ, იგი ძალზე ახალგაზრდა გარდაცვალა და ვერ მოასწრო თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გაკეთება. შემდგომ სწავლა განვაგრძე ლენინგრადის თეატრალურ ინსტიტუტში. ემუშაობდი ლენინგრადის პუშკინის სახელობის თეატრში. შემოქმედებითი სიცხელოვე მქონდა . ჩერკასოვთან, ბორისოვთან. ბევრი მიმოგზაურია საზღვარგარეთ, როგორც სოციალისტურ, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ძირითადად რეალისტური თეატრის მიმდევარი ვარ. მიყვარს თეატრალური გროტესკი, მკვეთრი სატირა. ზშირად ვდგამ შექსპირს, ბრეხტს და მსოფლიოს თეატრალური ხელოვნების სხვა კლასიკოსებს.

— თეატრს გარდა ქართული ხელოვნების რომელ სფეროსთან გაქვთ ახლო ნაცნობობა?

—ქართულ მუსიკასთან. უნგრეთი ძალზე მუსიკალური ქვეყანაა. შესაძლებელია ამან განაპირობა ჩემი ცხოვრი ინტერესი ქართული მუსიკისადმი. აღტაცებაში დავრჩი ქართული ხმოვანი მრავალხმიანი სიმღერებით. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქართულმა ეროვნულმა ორკესტრმ. ვფიქრობ, შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება ამ სფეროშიც ხელს შეუწყობდა ჩვენი ერების ეროვნულ თანამეგობრობას.

—გაგვიზიარეთ თქვენი ხტუმრობის შთაბეჭდილებანი.

—როგორც პირველი, ისე მეორე ჩამოსვლის დროს ცოტა დრო მქონდა ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. მაგრამ იმისაც კი, რისი ნახვაც მოვასწარი, მრავალი რამ შეძლინა როგორც ადამიანს, ისე ხელოვანს. შესაძლებელია სხვების აზრის გამეორება გამომიდის, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სიბმო და სტუმართმოყვარეობა, რომელიც ქართველ ხალხს ახასიათებს. რუსთაველ თეატრი უნგრეთში გასტროლების დროს დარწმუნდება, რომ უნგრელი და ქართველი ხალხი ამ თვისებითაც ჰგავთან ერთმანეთს.

მ. გეგია,

რუსთაველ სახელმწიფო დრამატული თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე.

ვოდევილით აღნიშნეს

მიეძღვნა რ. ერისთავის დაბადების 150 წლისთავს

□

თელავი. (საკ. კორ.). ს. ორბელიანიძის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თეატრმა სეზონის უკანასკნელ პრემიერად მაყურებელს ამ დღეებში უჩვენა რაფაელ ერისთავის სამმოქმედებიანი ვოდევილი „ჯერ დაბოლოვნენ, მერე იქორწინეს“.

სპექტაკლი, რომელიც მიეძღვნა რ. ერისთავის დაბადების 150 წლისთავს, დადგა რეჟისორმა ნ. ლორთქიფანიძემ, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის დ. ბალარჯიშვილს, მუსიკალური გაფორმება—დ. გურგენიძეს.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ვ. ჩელთისპირელი, თ. ბურბუთაშვილი, მსახიობები ვ. ფეიქრიშვილი, თ. ხუნაშვილი, რ. ბუჭუტაშვილი, დ. სხირტლაძე, კ. ქართველიშვილი, ც. გიგაური, ი. შუშანაშვილი...

სპექტაკლმა მაყურებელს მოწონება დაიმსახურა.

მოსკოვის მიდამოებში დაიწყო სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სრულიად საკავშირო კარდიოლოგიური ცენტრის მშენებლობა.

— ჩვენ კარდიოლოგი მეცნიერები აუღელვებლად ვერ ვიდაპარაკებთ ჯანმრთელობის ამ შესანიშნავი სასახლის შესახებ, რომელსაც სხვებრად ვგალეკავენ საბჭოთა ხალხი, პარტია, — თქვა საკავშირო კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ე. ი. ჩაზოვმა. —ეს შენებლობა ზომ სამი სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერის რიცხვშია, რომლებიც შენდება საბჭოთა ადამიანების მიერ კომუნისტური შაბათობის დროს გამოუშვავებული სახსრებით.

კომუნისტური პარტიისათვის არ არის რა იმაზე მაღალი მიზანი, ვიდრე ხალხის კეთილდღეობა. ასეთი უმაღლესი სიკეთეა ადამიანის ჯანმრთელობა, მისი სიცოცხლე, ან რატომ არის, რომ ზრუნვა ხალხის ჯანმრთელობისათვის მუდამ იყო სახელმწიფოსა და პარტიის ყურადღების ცენტრში. ჩვენს ქვეყანაში მომზდარ სოციალურ გარდაქმნებს, ჯანმრთელობის დაცვის საბჭოთა სისტემის წარმატებებს, რომლის მსგავსი მსოფლიოში არ ყოფილა, მოაყვა წარსულის მემკვიდრეობის— ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიების, ბავშვთა ადრი სიკვდილიანობის და სხვათა ლიკვიდაცია.

ვიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა. მაგრამ მსოფლიოს ემუქრება გულ-სისხლძარღვების დაავადებათა სწრაფი ზრდა, რომელიც მილიონობით ადამიანს იწირავენ.

გულ-სისხლძარღვების დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის უპირველესი პრობლემაა. ჩვენს ქვეყანაში უკვე ბევრი რამ გაკეთდა: შეიქმნა სპეციალური განყოფილებათა ფართო ქსელი ასეთი ავადმყოფების მკურნალობისათვის, კარდიოლოგიური სანატორიუმები, სპეციალიზებული სასწრაფო დახმარება, შემუშავებულია პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდები.

აქ უმკურნალებენ გულს

გაიღლის რამდენიმე წელი, და ბორკვნი, რომლიდანაც მოსკოვის შემოგარენის მშვენიერი ხედი იშლება, აშენდება კარდიოლოგიური ცენტრის შენობები — 400-საწოლიანი კლინიკური კორპუსი, თეორიული კორპუსი, სადაც მუშაობას გააჩაღებს ათობით ლაბორატორია, რომლებმაც მოლეკულურ და უჯრედოვან დონეზე უნდა შეისწავლონ გული, სისხლძარღვების დაავადებანი და განსაზღვრონ მათთან ბრძოლის ღონისძიებანი. აღიმართება პოლიკლინიკის კორპუსი, სადაც ექიმები ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ ათასობით ავადმყოფს გაუწევენ მაღალკვალიფიციურ საკონსულტაციო დახმარებას, აგრეთვე კორპუსი, სადაც შეისწავლიან გულის დაავადებათა თავიდან აცილების მეთოდებს.

□ 26 ოქტომბერი

16.25 — სატელევიზიო ფილმების მეექვსე საკავშირო კონკურსი „ადამიანი და ზღვა“, 17.20 — დოკუმენტური ფილმი, 17.50 — ფერადი ტელევიზია — ფილმი ბავშვებს — „ლტოლვილი იანტარნაიადან“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — განცხადებები, 19.05 — „ათოსტის ტრიბუნა“ — გვკითხეს ბიან, „ეუბასუხეთ“, 19.20 — კინონარკვევი, 19.35 — ბურმასტოლის შეხვედრი გეგმა მოკმედებაში (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „შრომისა და სიმღერის ადამიანები“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია—„ქართული საბჭოთა არქიტექტურის მიღწევები“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „მუსა ჯალილის ლექსების ნაკვალევზე“, 23.20 — ახალი ამბები, 23.30 — სპორტული პროგრამა — მსოფლიო ჩემპიონატი გროვში (გადმოცემა ჰავანიდან), 24.00 — ფერადი ტელევიზია — სპორტული დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან).

□ 27 ოქტომბერი

10.05 — ფერადი ტელევიზია—დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია — „ხელმარჯვე ოსტატები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სინდისი“ (I სერია), 12.25 — ფერადი ტელევიზია — „ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.25 — მხატვრული ფილმი „ეურაგუმკა“, 16.00 — დოკუმენტური ფილმი, 16.40 — მოსწავლეთათვის „პიონერული ნადნობი“, 16.55 — ფერადი ტელევიზია — ევროპის ჩემპიონატი საფეხბურთო სპორტში (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.35 — „ფილმი ბავშვებს“ — „სამუშაოური დღე ივანე სემენოვის ცხოვრებიდან“, 19.00 — „ჩვენი ვეტერანები“, 19.15 — „მუსიკის მოყვარულთათვის“ — სიმფონური მუსიკა, 20.00 — ფერადი ტელევიზია — მსოფლიო ჩემპიონატი კრივში — მეოთხედფინალი (გადმოცემა ჰავანიდან), 20.35 — სპორტული მიმოხილვა, 21.00— „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IXIV პლენუმის შესასვლელად, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „ძოწეული ბალიშები“ (I სერია), 23.45 — „ეროვნული ჰიმნი“.

□ 28 ოქტომბერი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია — „ნორჩების შემოქმედება“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სინდისი“ (II სერია), 12.25 — ფერადი ტელევიზია — „კინოშოგსაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.25— საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „უშიშარი ატამანი“, 17.00 — კინოპროგრამა, 17.25 — ფერადი ტელევიზია — „მშობლიური ბანგები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — ფერადი ტელევიზია — ფილმი ბავშვებისათვის „ბობა და სპიონი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00— განცხადებები, 19.05 — კინონარკვევი, 19.10 — „ჩვენი რესპუბლიკის ხალინდელი დღე“, 19.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ეტრუსკების ხელოვნება“, 20.10 — „კახობი და კინინიერება“, 20.35 — საესტრადო კონცერტი (გამეორება), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „მკათათვე“ — ლიტერატურული გადაცემა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია — მსოფლიო ჩემპიონატი კრივში (მეოთხედფინალი (გადმოცემა ჰავანიდან), 23.50 — ახალი ამბები.

□ 29 ოქტომბერი

10.05—ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია — „წინ, ბიჭუნებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „იმ ქარცეცხლიან დროთა გახსენება“, (გადმოცემა კიმინიოვიდან), 12.00 — დოკუმენტური ფილმი „ლუდნსკაიას კლასი“, 13.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ბანაჯნი“, 17.00 — ბავშვებისათვის. „იყო და არა იყო რა“..., 17.10 — კინონარკვევი, (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30— „ტყავის ბურთის კლუბის პრიზზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სინდისი“ (III სერია), 12.25 — ა. ჩაიკოვსკის სახელობის მეხუთე საერთაშორისო კონკურსის მონაწილეთა კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.20— საქართველოს ფერადი ტელევიზია—ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „და მაშინ ვთქვი არა“, 16.00— დოკუმენტური ფილმი, 16.30 — მოსწავლეთათვის „ჩვენი სატელევიზიო ფოსტა“, 17.05 — „სოციალიზმის სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.35 — ფერადი ტელევიზია — ფილმი ბავშვებს „აქვეკანელები ფსკერზე“, 19.00 — განცხადებები, 19.05 — „გადიდებული გეგმები და რეალური შესაძლებლობანი“, 19.30 — ფერადი ტელევიზია — მსოფლიო ჩემპიონატი კრივში — ნახევარფინალი (გადმოცემა ჰავანიდან), 20.45 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საარბრიუკენის სცენაზე, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „ქორწილის დღეს“, ფილმის დასასრულს ახალი ამბები.

□ 30 ოქტომბერი

10.05 — ფერადი ტელევიზია—დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30— „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“. რეპორტაჟი პიონერთა ბანაკიდან (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სინდისი“ (IV სერია), 12.30 — „მუსიკოსები მუსიკის შესახებ“. ა. გლაზუნოვის მეხუთე სიმფონია (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — სატელევიზიო დადგმა, 14.10 — მხატვრული ფილმი „მანდილოსანი ფინიით“, 16.40 — მოსწავლეთათვის „ჩვენი სატელევიზიო ფოსტა“ 17.15 — „მეცნიერება 17.20 — „ექიმთა დასახმარებლად“, 17.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 16.45— განცხადებები, 18.50 — „გიგანტი მთებში“, 19.15 — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ადამიანი — ბუნების მეგობარი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „ბოიკირე ბომბდამშენის ქრონიკა“, 23.35 — ფერადი ტელევიზია — მსოფლიო ჩემპიონატი კრივში (გადმოცემა ჰავანიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმი „ლენინგრადის ადამიანები“, 19.05 — განცხადებები, 19.10 — „მეფრინველე დიდება“, 19.45 — კონცერტი, 20.20 — მხატვრული ფილმი „ხიმღერა მანშუკზე“.

ეკრანებზე ჩვენ ველოდებით

ტელევიზია

23 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია — „ხელმარჯვე ოსტატები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სინდისი“ (I სერია), 12.25 — ფერადი ტელევიზია — „ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.25 — მხატვრული ფილმი „ეურაგუმკა“, 16.00 — დოკუმენტური ფილმი, 16.40 — მოსწავლეთათვის „პიონერული ნადნობი“, 16.55 — ფერადი ტელევიზია — ევროპის ჩემპიონატი საფეხბურთო სპორტში (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.35 — „ფილმი ბავშვებს“ — „სამუშაოური დღე ივანე სემენოვის ცხოვრებიდან“, 19.00 — „ჩვენი ვეტერანები“, 19.15 — „მუსიკის მოყვარულთათვის“ — სიმფონიური მუსიკა, 20.00 — ფერადი ტელევიზია — მსოფლიო ჩემპიონატი კრივში — მეოთხედფინალი (გადმოცემა ჰავანიდან), 20.35 — სპორტული მიმოხილვა, 21.00— „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IXIV პლენუმის შესასვლელად, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „ძოწეული ბალიშები“ (I სერია), 23.45 — „ეროვნული ჰიმნი“.

24 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ტყავის ბურთის კლუბის პრიზზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სინდისი“ (III სერია), 12.25 — ა. ჩაიკოვსკის სახელობის მეხუთე საერთაშორისო კონკურსის მონაწილეთა კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.20— საქართველოს ფერადი ტელევიზია—ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „და მაშინ ვთქვი არა“, 16.00— დოკუმენტური ფილმი, 16.30 — მოსწავლეთათვის „ჩვენი სატელევიზიო ფოსტა“, 17.05 — „სოციალიზმის სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.35 — ფერადი ტელევიზია — ფილმი ბავშვებს „აქვეკანელები ფსკერზე“, 19.00 — განცხადებები, 19.05 — „გადიდებული გეგმები და რეალური შესაძლებლობანი“, 19.30 — ფერადი ტელევიზია — მსოფლიო ჩემპიონატი კრივში — ნახევარფინალი (გადმოცემა ჰავანიდან), 20.45 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საარბრიუკენის სცენაზე, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „ქორწილის დღეს“, ფილმის დასასრულს ახალი ამბები.

30 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია—დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30— „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“. რეპორტაჟი პიონერთა ბანაკიდან (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სინდისი“ (IV სერია), 12.30 — „მუსიკოსები მუსიკის შესახებ“. ა. გლაზუნოვის მეხუთე სიმფონია (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — სატელევიზიო დადგმა, 14.10 — მხატვრული ფილმი „მანდილოსანი ფინიით“, 16.40 — მოსწავლეთათვის „ჩვენი სატელევიზიო ფოსტა“ 17.15 — „მეცნიერება 17.20 — „ექიმთა დასახმარებლად“, 17.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 16.45— განცხადებები, 18.50 — „გიგანტი მთებში“, 19.15 — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ადამიანი — ბუნების მეგობარი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „ბოიკირე ბომბდამშენის ქრონიკა“, 23.35 — ფერადი ტელევიზია — მსოფლიო ჩემპიონატი კრივში (გადმოცემა ჰავანიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმი „ლენინგრადის ადამიანები“, 19.05 — განცხადებები, 19.10 — „მეფრინველე დიდება“, 19.45 — კონცერტი, 20.20 — მხატვრული ფილმი „ხიმღერა მანშუკზე“.

ეკრანი

ბ. ბაბალაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა ხუთ წელი 1918 წლიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ივანე ლევანის-ძე ბაბალაშვილი.

ი. ბაბალაშვილი დაიბადა 1895 წელს. სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგაში, ხელოსნის ოჯახში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ეწეოდა არალეგალურ მუშაობას. იყო არალეგალური სამაზრო კომიტეტის წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სიღნაღის მაზრაში 1919 წელს მოწყობილ აჯანყებაში, რომლის დამარცხების შემდეგ ინტაკქმ მუშაობაზე გადავიდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე. იყო სიღნაღის მაზრის რევოლუციური კომიტეტის წევრი, შემდეგ მას ვხედავთ მაზრის განაოლების განყოფილების გამგის, სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის, თავმჯდომარის, კახეთის ოლქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობებზე.

1941 წელს მობილიზაციით იწვევენ საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც ნინნავენ ჯერ ჰოსპიტლის პოლტსლად, შემდეგ კი ჰოსპიტლის უფროსის თანაშემწედ.

შემდეგ წლებში იგი მუშაობდ ცენტრალურ სალექციო ბიუროს დირექტორის მოადგილედ, ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელად, თბილისის ოლქის სალექციო ბიუროს დირექტორად.

ი. ბაბალაშვილი მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ყრილობების მუშაობაში, როგორც დელეგატი, არჩეული იყო თბილისის ორჯონიკიძის რაიკომისა და აღმასკომის წევრად. ყველგან, სადაც კი მუშაობდა ი. ბაბალაშვილი, მან თავი გამოიჩინა როგორც ენერგიულმა, თავდადებულმა, პრინციპულმა მუშაკმა.

ძველი ბოლშევიკის, კომუნისტის საქმისადგილი აქტიური მებრძოლის ი. ბაბალაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი თანამებრძოლების და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი

დ. მეედლიშვილი.

სპორტი

ახალი რეკორდები

პუსტრიის დედაქალაქში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი სპორტის წყლის ხასიათებში.

კვლავ დაფიქსირეს ახალი რეკორდები საბჭოთა მცურავებმა. მოსკოველმა ვიქტორ შარიგინმა 100 მეტრზე ბატერფლაით აირჩია 57,62 წამი (მეოთხე ადგილი) და თავისი შესაბამისი რეკორდი დაამყარა ეროვნის საცურავ აუზში.

საბჭოთა ვაჟთა კვარტეტმა მეკავე ბრძოლაში მოიპოვა ვერცხლის მედლები ამანათცურავში 4X200 მეტრზე ნებისმიერი სტილით. მისი შედეგი 7.42,06 — სსრ კავშირის ახალი რეკორდია. გამარჯვებული კი გამოვიდა გფრ-ის გუნდი, რომელმაც გაიუმჯობესა ევროპის რეკორდი —7 წუთი და 39,70 წამი.

წყალბურთელთა ტურნირზე საბჭოთა გუნდმა მოუგო გფრ-ის ნაკრებს — 5:2.

კრივი

ორი ნოკაუტი

ბუენოს სპორტის სასახლეში გრძელდება მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი მოყვარულ მოკრივეთა შორის.

კვლავ წარმატებით გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები. სსრ კავშირის ჩემპიონმა პირველ უმაჩტეს წონაში, კუბიშეველმა ევგენი იუდინმა პირველ წუთშივე ნოკაუტში გაგზავნა ნიგერიელი დავიდსონ ინდეხი. ასევე ნოკაუტით მოუგო პირველ რაუნდში ერეკენელმა სურენ კაზარიანმა (პირველი ქვესაშუალო წონა) სიერალეონელ რიჩარდ მბუას.

დღეს ჰავანის რინგზე მთავრდება წინასწარი შეხვედრები. 25 აგვისტოს დაიწყება მერვედფინალური ბრძოლები, 26 და